ევროკავშირი და **საქართველო**

წევრობის სტატუსი: კანდიდატი ქვეყანა

#StrongerTogether
#EUEnlargement

2024 წლის თებერვალი

2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა. 2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ განაცხადზე თავისი მოსაზრება წარადგინა. კომისიის მოსაზრებაზე დაყრდნობით, ევროპულმა საბჭომ 2022 წლის 23 ივნისს საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა და ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მიცემის მზადყოფნა გამოთქვა.

2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიამ ევროპულ საბჭოს მისცა რეკომენდაცია, მიენიჭებინა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი იმ დათქმით, რომ ქვეყანა ცხრა ნაბიჯს გადადგამდა.

2023 წლის 14 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა, მიენიჭებინა საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი იმ დათქმით, რომ ის საჭირო ნაბიჯებს გადადგამდა.

ევროკავშირის დაფინანსება

ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი ფინანსური მხარდამჭერია. ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და რეფორმებს, რისთვისაც ქვეყანას ფინანსურად და ტექნიკურად **სამეზობლოს, განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის (NDICI)** მეშვეობით ეხმარება.

2021-2024 წლებისთვის საქართველოსთვის გამოყოფილმა დაფინანსებამ 340 მილიონ ევროს უნდა მიაღწიოს. პრიორიტეტული სფეროებია ეკონომიკა, ინსტიტუტები, კანონმდებლობა, უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და კლიმატის მდგრადობა, ციფრული გარდაქმნა, გენდერული თანასწორობა და ინკლუზიური საზოგადოება.

ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია



ვაჭრობა და ინვესტიციები

2022 წელს საქართველოში ევროკავშირის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობამ 819 მილიონ ევროს მიაღწია ევროკავშირთან საქონლით ვაჭრობის მთლიანი მოცულობა 4.2 მილიარდი ევრო იყო.

2022 წელს

წყარო: ევროსტატი

საკვანძო მოვლენები

2014 წლის ივნისი
ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ხელმოწერა

2016 წლის ივლისი
ასოცირების შეთანხმების და DCFTA-ის ძალაში შესვლა

2022 წლის ივნისი
ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის წარდგენა

2022 წლის ივნისი
კომისიის მოსაზრებით კანდიდატის სტატუსის რეკომენდაციის გაცემა და შესასრულებელი 12 პრიორიტეტის განსაზღვრა

2022 წლის ივნისი
ევროპული საბჭოს მიერ 12 პრიორიტეტის დამოწმება

2023 წლის ივნისი
კომისიის მიერ საბჭოსთვის გაკეთებული ზეპირი მოხსენება 12 პრიორიტეტის შესრულების პროგრესზე

2023 წლის ნოემბერი
კომისიის მიერ კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციის გაცემა, იმ დათქმით, რომ ქვეყანა გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს

2023 წლის დეკემბერი
ევროპული საბჭოს მიერ კანდიდატის სტატუსის მინიჭება

ადამიანური კაპიტალი და ინოვაცია

2021 წლიდან მოყოლებული, 6,500-ზე მეტმა სტუდენტმა და პროფესიონალმა მიიღო მონაწილეობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაცვლით პროექტებში განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში, ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, 92 ქართველ სტუდენტს გადაეცა ერაზმუს მუნდუსის სტიპენდია.

ევროკავშირმა სამოქალაქო საზოგადოების მხარდასაჭერად 22.5 მილიონი ევრო გამოყო (2015-2022).

ევროკავშირი და საქართველო ევროკავშირთან საზღვრებსშორისი ე-კომერციის 50%-ით გასაზრდელად საპილოტე პროექტებს ახორციელებენ.

ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა

აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის 2021 წელს შემუშავებული ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა (EIP) საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით 2027 წლამდე 17 მილიარდამდე ევროს მობილიზებას ისახავს მიზნად. საქართველოსთვის შემუშავებული EIP-ის ფარგლებში, ევროკავშირმა უკვე მოაგროვა **1.9 მილიარდი ევროს** ოდენობის ინვესტიციები, რომელთაგან 205 მილიონი ევრო გრანტების სახით გაიცა.

მაგალითად, საფლაგმანო ინვესტიციები ხმარდება:

- საქართველოს 80,000 მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერას
- შავ ზღვაში წყალქვეშა ოპტიკურბოჭკოვანი კაბელისა და ელექტროკაბელის განთავსებას
- ევროკავშირისა და საქართველოს დასაკავშირებლად შავ ზღვაზე რეგულარული საბორნე მიმოსვლის უზრუნველყოფას
- საჯარო და საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებას
- სოფლებში სწრაფი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებას

ევროკავშირის დახმარებით, ქართლში ფონდის, „მწვანე ზრდისთვის“, მეშვეობით აშენდა ქარის ელექტროსადგური, რომელიც პირველია კავკასიის რეგიონში და მიზნად **კლიმატის ცვლილების** შერბილებასა და **მდგრადი ეკონომიკური ზრდის** წახალისებას ისახავს.

უსაფრთხოება და მედეგობა

2021-2023 წლებში **ევროპის სამშვიდობო მექანიზმის ფარგლებში 63 მილიონი ევრო მოგროვდა** საქართველოს თავდაცვის ძალების სამედიცინო, საინჟინრო, ლოგისტიკური და კიბერთავდაცვის მიმართულებების გასაძლიერებლად.

ევროკავშირი აგრძელებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ეს მხარდაჭერა ხორციელდება სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს კრიზისულ სიტუაციებზე მომუშავე ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის (EUSR) ძალისხმევისა და ისეთი ინიციატივების საშუალებით, როგორიცაა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM).

ec.europa.eu/neighbourhood-enlargement
facebook.com/EUnear | x.com/eu_near
instagram.com/eu_near

© ევროკავშირი, 2024
ამ დოკუმენტის ხელმეორედ გამოყენება დასაშვებია იმ პირობით, თუ მითითებულია ავტორის ვინაობა და ნებისმიერი ცვლილება (საერთაშორისო ლიცენზია Creative Commons Attribution 4.0). იმ ელემენტების ნებისმიერი სახით გამოყენების ან კვლავწარმოებისთვის, რომლებიც არ არის ევროკავშირის საკუთრება, შესაძლოა, საჭირო გახდეს ნებართვის მიღება უშუალოდ შესაბამისი უფლების მფლობელებისგან. ყოველგვარი ვიზუალური მასალა — © ევროკავშირი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.